Organisieren einer Straftat

Das Organisieren einer Straftat wird im deutschen und georgischen Strafrecht unterschiedlich behandelt. Im **deutschen Strafrecht** ist das Organisieren nicht eigenständig geregelt, sondern wird als unmittelbare Täterschaft oder als Mittäterschaft behandelt, wobei die Anwesenheit am Tatort nicht erforderlich ist. Die organisatorische Mitwirkung kann aber auch als mittelbare Täterschaft gemäß § 25 Abs. 1 Alt. 2 dStGB erfasst werden. Im **georgischen Strafrecht** wird die gleiche Tätigkeit in Art. 24 Abs. 1 gStGB (Beteiligung, Organisator) eigenständig geregelt. Art. 24 Abs. 1 gStGB ist kein Organisationsdelikt, sondern eine Beteiligungsform, die wegen der Akzessorietät der Beteiligung mindestens die Vorbereitung einer Straftat erfordert. Organisator nach Art. 24 Abs. 1 gStGB ist „derjenige, der die Tatbegehung organisiert oder sie leitet sowie derjenige, der eine organisierte Gruppe gegründet oder geleitet hat". Der Organisator ermöglicht das Begehen einer Straftat durch einen Haupttäter. Durch die Rechtsfigur des Organisators ist es möglich, den „lenkenden Kopf" einer Straftat als Teilnehmer (und gemäß Art. 25 Abs. 1 gStGB sogar mit höherer Strafe als den Haupttäter) zu bestrafen. Sie ermöglicht die klare Abgrenzung zwischen der Täterschaft und mittelbarer Täterschaft und erfüllt damit dieselben Funktionen wie entsprechende dogmatische Rechtsfiguren des deutschen Strafrechts (mittelbare Täterschaft kraft organisatorischer Machtapparate, Täter hinter dem Täter). (Esc/Kmt)

დანაშაულის ორგანიზება

ქართულ და გერმანულ სისხლის სამართალში დანაშაულის ორგანიზება სხვადასხვანაირად განიხილება. **გერმანულ სისხლის სამართალში** ორგანიზება დამოუკიდებლად არ რეგულირდება, მაგრამ დანაშაულის ამსრულებლობად ან თანაამსრულებლობად განიხილება, ამასთან დანაშაულის ჩადენის ადგილზე ყოფნა საჭირო არაა. ორგანიზაციული მხარდაჭერა ასევე შეიძლება განხილულ იქნას შუალობით ამსრულებლობად, გსსკ-ის 25-ე პარაგრაფის 1-ელი ნაწილის მე-2 ალტერნატივა. **ქართულ სისხლის სამართალში** იგივე საქმიანობა სსსკ-ის 24-ე მუხლის 1-ელი ნაწილით (თანამონაწილეობა, ორგანიზატორი) დამოუკიდებლად რეგულირდება. სსსკ-ის 24-ე მუხლის 1-ელი ნაწილი ორგანიზაციული დანაშაული კი არა, თანამონაწილეობის ფორმაა, რომელიც თანამონაწილეობის აქცესორობის გამო მინიმუმ დანაშაულის მომზადებას მოითხოვს. სსსკ-ის 24-ე მუხლის 1-ელი ნაწილით „ორგანიზატორი არის ის, ვინც მოაწყო დანაშაულის ჩადენა ან ხელმძღვანელობდა მის განხორციელებას, აგრეთვე ის, ვინც შექმნა ორგანიზებული ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას". ორგანიზატორი უშუალო ამსრულებლის მიერ დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას ქმნის. ორგანიზატორის სამართლებრივი ფიგურა დანაშაულის „ხელმძღვანელის", როგორც თანამონაწილის დასჯის შესაძლებლობას იძლევა (უშუალო ამსრულებელზე უფრო მკაცრადაც დასჯისაც კი, სსსკ-ის 25-ე მუხლის 1-ელი ნაწილი).

იგი იძლევა ამსრულებლობისა და შუალობითი ამსრულებლობის მკაფიო გამიჯვნის შესაძლებლობას და ასრულებს გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკური ფიგურების ფუნქციას (შუალობითი ამსრულებლობა ორგანიზაციული ძალაუფლების აპარატის საშუალებით, ამსრულებელი ამსრულებლის უკან). (Esc/Kmt)